ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №64

აბაშა, 2023 წლის 5 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №6 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, გასცეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონება: აბაშა, სოფ.ქოლობანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1229.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 98 კვ.მ შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.14.32.542).

2. უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს 78400 (სამოცდათვრამეტი ათას ოთხასი) ლარს, იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 8%-ის ოდენობით, ბიჯის ოდენობა განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის 1%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა განისაზღვროს იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 30%-ის ოდენობით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: ბელა ხოშტარია